ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ აპრილი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით)
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის №6/5542 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- აპრილის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, შემდგომში განკარგვის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.01.21.901; ფართობი: 596.00 კვ.მ).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
(მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით)

პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 02.02.2024 წლის №6/8842 მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №03.01.21.434-დან ნაწილი).

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განიხილება ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე №32-ის მიმდებარედ არსებული 1142 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №03.01.21.773) განკარგვის საკითხი. მითითებულ მიწის ნაკვეთს არ აქვს დამოუკიდებელი მისასვლელი გზა და ერთადერთ მისასვლელად შესაძლებელია განხილული იქნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაკვეთი (საკადასტრო კოდი №03.01.21.434). მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების შემდგომ №03.01.21.773 და №03.01.21.434 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავი ქონება განიკარგოს ერთ ლოტად ან ერთ საკადასტრო ერთეულად.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (საკადასტრო კოდი №03.01.21.434) მოიცავს შიდა საუბნო მისასვლელ გზას. ამიტომ განხორციელდა უძრავი ქონების გაყოფა ორ საკადასტრო ერთეულად - **1.** №03.01.21.901; ფართობი 596კვ.მ; **2.** №03.01.21.902; ფართობი 117კვ.მ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნისიპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №03.01.21.901; ფართობი 596კვ.მ) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში განკარგვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. 108-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე.

წარმოდგენილია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი №32ა-ს დასავლეთით) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი